მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონსულტანტ-მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს „ასწავლე საქართველოსთვის" პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოში საჯარო სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის, მიუხედავად იმისა, დედაქალაქში სწავლობს იგი, თუ მაღალმთიანი რაიონის რომელიმე სოფელში, ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებენ რეგიონის ის სკოლები, სადაც კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტია და მოსახლეობა ვერ იღებს შესაბამის განათლებას. არსებული ვითარების პრევენციისა და სკოლებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის".

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში.

ამ მიზნით ცხადდება პედაგოგთა შერჩევა შემდეგ საგნებში:

- ქიმია
- ფიზიკა
- ბიოლოგია
- რუსული ენა
- ინგლისური ენა
- გეოგრაფია
- სპორტი
- მუსიკა
- ხელოვნება

სამუშაოს აღწერა

შერჩეული კონსულტანტ-მასწავლებლები განაწილდებიან საქართველოს საჯარო სკოლებში შესაბამისი ვაკანსიების შესავსებად. მასწავლებლები, სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სკოლაში კონკრეტული საგნის სწავლების პრობლემატიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას. მასწავლებლები ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს მოამზადებენ ანგარიშს, ხოლო სასწავლო წლის დასასრულს - მასწავლებლის პროფესიულ პორტფოლიოს, სწავლების პროცესის მიმდინარეობის და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ. მასწავლებელმა სწავლების დროს უნდა გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდიკა. კონსულტანტ-მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, მუდმივად მიიღოს ინფორმაცია ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე მასწავლებლის პროფესიაში არსებული სიახლეების შესახებ, რომელიც პერიოდულად უნდა გააცნოს თავის კოლეგებსა და მოსწავლეებს და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სკოლაში სიახლეების დანერგვას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ზოგადი პროფესიული კომპეტენციები:

- შესაბამისი უმაღლესი განათლება და/ან მასწავლებლის სერტიფიკატი შესაბამის საგანში;
- პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია);
- საგანამათლებლო პროექტებში მონაწილეობისა და პროექტების მართვის გამოცდილება (სასურველია);
- საგნის საფუძვლიანი ცოდნა;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

* უპირატესობა მიენიჭება კანდიდატებს, რომლებიც ფლობენ მასწავლებლის სერტიფიკატს შესაბამის საგანში და გააჩნიათ პედაგოგიური გამოცდილება.

პიროვნული მახასიათებლები:

- მაღალი მოტივაცია;
- ლიდერის თვისებები და ეფექტური კომუნიკაციის უნარები;
- გამართულად მეტყველებისა და აზრის თავისუფლად გადმოცემის უნარი;
- არაკონფქლიტური, გაწონასწორებული პიროვნება.

ანგარიშგება
მასწავლებელი ანგარიშვალდებულია სკოლის დირექციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წინაშე.

ხელშეკრულების პირობები

კონსულტანტ-მასწავლებელი ხელშეკრულების ვადის შესაბამისად მიიღებს სკოლის ხელფასზე დანამატს. დანამატის ოდენობა განისაზღვრება კონსულტანტ-მასწავლებლის სამუშაო ადგილის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა თავდაპირველად უნდა გაიარონ რეგისტრაცია შემდეგი ბმულის საშუალებით: www.tpdc.ge/teachers_registration/

კონკურსი ითვალისწინებს შერჩევის სამ ეტაპს:

I ეტაპი - შემოსული განაცხადების განხილვა და შესაბამისობის დადგენა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
II ეტაპი* - ტესტირება შესაბამის საგანსა და პროფესიულ უნარებში;
III ეტაპი - გასაუბრება

*სერტიფიცირებული მასწავლებლები არ გაივლიან შერჩევის მეორე ეტაპს. ისინი პირდაპირ მოწვეული იქნებიან გასაუბრებაზე.

ტესტირება და გასაუბრება გაიმართება მასწავლებლის სახლში, თბილისში.
ის კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის სამივე ეტაპს, ვალდებული არიან გაიარონ შესაბამისი მოსამზადებელი ტრენინგ-კურსი.

ტრენინგ-კურსის დაწყებამდე კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფოტო სურათი (3x4);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- დიპლომის დანართი ან ნიშნების ფურცელი (სასურველია);
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა #100)
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- მასწავლებლობის სერტიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი იტოვებს უფლებას, არ გაუფორმოს შრომითი ხელშეკრულება კონკურსანტს, რომელიც არადამაკმაყოფილებლად დაასრულებს ტრენინგ-კურსს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: გმირ კურსანტთა ქ. #1
ტელ.: 2 91 06 02 (1428)
ელ-ფოსტა: ltsiklauri@tpdc.ge

www.tpdc.ge
საკონტაქტო პირი: ნინო მაისურაძე

განცხადებების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2013 წლის 19 იანვარი.